

2008 წლის 27 თებერვალს ჰაინრიხ ბოლის ფონდის ოფისში გაიმართა საჯარო დისკუსია თემაზე:

„რას ელის საზოგადოება საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლისგან?“

ძირითადი მომხსენებლები:

თამარ კინწურაშვილი, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი  
ეკა კვესიტაძე, გაზეთ „24 საათის“ მიმომხილველი

ზვიად ქორიძე, ჟურნალისტი

მოდერატორი: გოგი გვახარია

**გოგი გვახარია** – მოგესალმებით. დისკუსია, რომელიც დღეს გაიმართება, დაახლოებით ერთი თვის წინ იყო ჩაფიქრებული, მაგრამ ახლა თითქოს უფრო აქტუალური გახდა ეს თემა. კარგი იქნება, თუ საზოგადოებრივი მაუწყებლის თემაზე საუბარს ქ-ნი თამარ კინწურაშვილი დაიწყებს.

ბევრი ვიფიქრეთ, რა გვეწოდებინა დღევანდელი დისკუსიისთვის და ბოლოს ასეთი სათაური მოვიფიქრეთ – „რას ელის საზოგადოება საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლისგან?“. დღეს ბევრი ამბობს, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საზოგადოების დაკვეთა უნდა შეასრულოს. რა არის საზოგადოების დაკვეთა, როგორ საზოგადოებაზეა საუბარი, ან რა არის თავად საზოგადოება და საზოგადოებრივი მაუწყებელი – დღეს ჩვენ ამ თემებზე ვისაუბრებთ. სამწუხაროდ, როგორც მოდერატორს, მე არ მაქვს პირადი აზრების გამოთქმის უფლება, მაგრამ რადგან გადაცემას ვამზადებ ამ არხზე, მაინც სუბიექტური ვიქნები და ცოტა სენტიმენტალური ტონით დავიწყებ დღევანდელ შეხვედრას. პირველად მეძლევა საშუალება, საჯაროდ გადავუხადო მადლობა ქ-ნ თამარს და საზოგადოებრივ მაუწყებელს იმისთვის, რაც მათ ჩემი გადაცემისთვის გააკეთეს. 50 წლის ვარ და ასეთი თავისუფლება, დამოუკიდებლობა და კომფორტი არც ერთ ტელეარხზე არ მიგრძენია. ამიტომაც, პირადად მე, მესმის საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ არსებული პრეტენზიების, ეს შენიშვნები თავად საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერშიც გამომითქვამს, ეს განსაკუთრებით ეხება ფილმს „ნოემბრიდან ნოემბრამდე“, მაგრამ არავის დავუსჯივარ ამისთვის და არავინ ჩარეულა იმაში, თუ როგორი იქნებოდა ჩემი გადაცემა.

დღეს ჩვენი დისკუსიის ძირითადი მომხსენებლები იქნებიან ქალბატონები თამარ კინწურაშვილი და ეკა კვესიტაძე, და ბ-ნი ზვიად ქორიძე.

**თამარ კინწურაშვილი** – მადლობა მინდა გადავუხადო გოგის პოზიტიური გამოხმაურებისთვის და ყველა თქვენგანს აქ მოსვლისთვის, რადგან ეს ის ადგილია, სადაც უნდა გაიმართოს დისკუსია და გაიჟღეროს ყველა იმ მოლოდინმა, რომელიც საზოგადოების თუნდაც მცირე ნაწილში არსებობს. მე კორექტივს შევიტანდი სახელწოდებაში და

დავარქმევდი „როგორი ტელევიზია სჭირდება დღეს საზოგადოებას“, იმიტომ რომ როგორიც არ უნდა იყოს აპელირება საზოგადოებაზე, იმ ხალხის მოლოდინი, რომელიც იდგა მიტინგზე, ან დღეს პოლიტიკურ მაგიდასთან საუბრობს, არ არის მთელი საზოგადოების მოლოდინი. საზოგადოება ნაკლებად არის და იყო დაინტერესებული საზოგადოებრივი მაუწყებლით. უფრო მეტი რომ ყოფილიყო დაინტერესება, ჩვენთვის უკეთესი იქნებოდა. კარგი იყო თუნდაც ის კრიტიკა, რომელიც მოჰყვა ფილმს „ნოემბრიდან ნოემბრამდე“. ასეთ შეცდომას, ალბათ, აღარასოდეს ჩავიდნენ, რაც ამ შემთხვევაში, ჩემი უპასუხისმგებლობით გამოიხატა, როდესაც არ ვნახე ეს ფილმი ეთერში გასვლამდე. იმიტომ, ინერტული დამოკიდებულების ნაცვლად, ნაცვლად ისეთი ფიქრებისა, რომ ამ არხს მაინც არავინ უყურებს და ჯობია უფრო რეიტინგულ არხებზე ვიფიქროთ, ამ ტიპის აქტივობა რომ ყოფილიყო, ეს ჩვენც დაგვეხმარებოდა და შედეგიც უკეთესი იქნებოდა. თუმცა, ჩემი აზრით, ყველაზე დიდი პრობლემა და შეცდომაც ის იყო, რომ თავის დროზე, როდესაც ჩავუდექით ამ არხს სათავეში, ის დროებით არ დავხურეთ. იმიტომ, რომ ის რესურსი, რომელიც ამ არხს ბიუჯეტიდან ჰქონდა გამოყოფილი, არ იყო საკმარისი რეფორმების განსახორციელებლად. საზოგადოებრივი მაუწყებლის პრობლემა დღეს მისი სისუსტეა. თუ გინდა კონკურენცია გაუწიო იმ არხებს, რომლებიც ჩემი აზრით, არასწორ სტანდარტებს აწესებენ და საერთოდ, თავად მედია-პროფესიონალებშიც კი საკამათოა, რა არის ჟურნალისტური სტანდარტი დღეს - ის, რაც რეიტინგულია, თუ ის, რაც მიღებულია დასავლურ ქვეყნებში, როგორც ჟურნალისტიკის საფუძველი. თუ გინდა კონკურენცია გაუწიო იმას, რასაც საზოგადოება „ჭამს და მიირთმევს“, ამისთვის შენც ადექვატურად ძლიერი უნდა იყო.

ტექნიკურ ბაზაზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. ვინც ტელევიზია იცის, დამეთანხმება, რომ 90% ვიზუალურ მხარეზეა დამოკიდებული. იმიტომ ჩვენ ყველაზე ელემენტარული რამით, კამერითა და სამონტაჟოებით დავიწყეთ. გასათვალისწინებელია ისიც, თუ რა ხდებოდა წინა მენეჯმენტის პირობებში. მაშინ არსებული კორუფციული სისტემა ძალიან მოხერხებული იყო იმისთვის, რომ ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები გარეთ, კერძო სტუდიებისკენ გადაქაჩულიყო და ისინი გაძლიერებულიყვნენ, ტელევიზია კი დაუძლურებულიყო. ეს სტუდიები ბაზარზე დღესაც სწორედ იმ რესურსების ხარჯზე არიან. რა თქმა უნდა, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გარე პროდუქციის შექმნასა და სტუდიების განვითარებასაც უნდა შეუწყოს ხელი, მაგრამ ეს შემდეგ უნდა მოხდეს, როცა მას ექნება ძლიერი საინფორმაციო სამსახური, კარგი გავრცელება და კარგი ვიზუალი<sup>1</sup>, რაც ტექნიკური რესურსების გამოყენებაზეა დამოკიდებული. ცხადია, არის ადამიანური რესურსის პრობლემაც და ამით მხოლოდ საზოგადოებრივი არხი არ გამოირჩევა ჩვენს ქვეყანაში. არაერთი კონკურსი ჩავატარეთ, მაგრამ მათ დიდი აქტიურობა არ მოჰყოლია. ზოგიერთი ადამიანი თავს უკვე წარმატებულ ჟურნალისტად და ვარსკვლავად მიიჩნევს და ასეთ კონკურსებში აღარ მონაწილეობს, კონკურსის ფორმით სამსახურში მიღება მათთვის მიუღებელია.

ჩვენი მთავარი მიღწევა დაბალანსებული საინფორმაციო გაშუქება იყო და ეს არ იყო ადვილი მისაღწევი. გუშინაც ვთქვი დავით დარჩიაშვილის გადაცემაში: როდესაც პირველად მივედი საზოგადოებრივ არხზე და წინა პერიოდის ანგარიშის დაწერა მომიწია, ერთ-ერთმა თანამშრომელმა დამიწერა, რომ ბალანსი საინფორმაციოში 70-30-ზე ნაწილდებოდა და მთავარი თემები სახელმწიფო კანცელარიასთან თანხმდებოდა. ასეთ პირობებში რთულია რაიმე ახლის შექმნა. იმიტომ ჩვენი პრიორიტეტი საინფორმაციო გადაცემები, ტექნიკური ბაზის შექმნა, პოლიტიკური დისკუსიებისთვის კარის გაღება, პოლიტიკური თოქ-შოუების ორგანიზება და ახალგაზრდებზე ორიენტირება იყო, რისი შედეგიც არის გადაცემა „კედელი“. იმიტომ რომ, როგორც ძველი კვლევები აჩვენებს, საზოგადოებრივ არხს მაინც უფრო ასაკოვანი მაყურებელი ჰყავდა. ამის საპირისპიროდ, ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ მაყურებლის გაახალგაზრდაების ტენდენცია უკვე შეინიშნება.

<sup>1</sup> გამოსახულება

**ეკა კვესიტაძე** – ძალიან მოკლედ შევეხები რამდენიმე პრობლემატურ საკითხს. ჩვენ ვიცით, რომ როდესაც საზოგადოებრივი მაუწყებელი იქმნებოდა, მთავარი ამოცანა იყო, ქართულ მედიასივრცეში, იმ სივრცეში, სადაც პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკის სერიოზული დეფიციტი იყო, ის „მოდის კანონმდებელი“ გამხდარიყო. ამასთან ერთად ეს მაუწყებელი, რა თქმა უნდა, უნდა გამხდარიყო არხი, საიდანაც მაყურებელი მოისმენდა მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო-შემეცნებით გადაცემებს და მეტნაკლებად საზოგადოების ყველა ფენის ინტერესებს მოიცავდა.

რამდენად შეძლო საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ამ ამოცანებისთვის თავის გართმევა, რა ხარისხით, რა სეგმენტში მოახერხა ამის გაკეთება, და თუ ვერ მოახერხა, რა იყო ამის მიზეზი? როგორ დავახასიათებთ შეცდომებს, როგორც სუბიექტურს, თუ როგორც ობიექტურს? და კიდევ, მთავარი საკითხი – ამ არხს რეიტინგი არ ჰქონია. რით აიხსნება ეს: იმით, რომ არხის მიმართ საზოგადოებაში ნდობა არ გაჩენილა, თუ იმით, რომ არ მზადდებოდა საინტერესო და კონკურენტუნარიანი გადაცემები? ამ კითხვებზე ცალსახა პასუხების მოძებნა ძნელია. მათზე ყველამ ერთად უნდა ვიფიქროთ, რათა ჩვენმა პასუხებმა გეზი მისცეს საზოგადოებრივი მაუწყებლის მუშაობას მომავალში. რა თქმა უნდა, ყველა ქვეყანაში, დიდ ბრიტანეთშიც კი, სადაც „ბი-ბი-სი“ პირველი არხია, რეიტინგით მას კონკურენცია, შესაძლოა, „მე-4 არხმა“ გაუწიოს. იმიტომ, რომ კომერციულ ტელევიზიებს, როგორც წესი, ყველა ქვეყანაში უფრო მეტი მომხმარებელი ჰყავს. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ არხს რეიტინგი არ უნდა ჰქონდეს და რომ რეიტინგი მისთვის არაფერს ნიშნავს. რეიტინგი საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის თვითმიზანი არ უნდა იყოს, მაგრამ ის უნდა იყოს საშუალება იმისთვის, რათა მან თავის მიზანს მიაღწიოს.

რა პრობლემები იდგა საზოგადოებრივ მაუწყებელში? საზოგადოებრივ მაუწყებელს ძალიან კარგი წინა პირობები ჰქონდა საიმისოდ, რომ კარგი საინფორმაციო გადაცემები გაეკეთებინა, რადგან მისი სარედაქციო დამოუკიდებლობა კანონით იყო დაცული. ამის პრობლემა ყველა სხვა არხს აქვს, ამიტომ მათთან შედარებით საზოგადოებრივ მაუწყებელს დიდი უპირატესობა ჰქონდა. გამოიყენა თუ არა მან ეს შესაძლებლობა? რაღაც თვალსაზრისით, შესაძლოა, გამოიყენა კიდევ, იმიტომ რომ ეს დაბალანსებული არხი იყო. წინასაარჩევნო პერიოდში ჩვენ ვზომავდით ბალანსს სხვადასხვა ტელევიზიაში და შეჯამების შედეგად აღმოჩნდა, რომ ამ არხს ყველაზე დაბალანსებულად გადმოსცემდა წინასაარჩევნო კამპანიას. მაგრამ ბალანსი არ გამორიცხავს სიმწვავესა და კრიტიკულობას. ჩემი აზრით, საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გადაცემებს აკლდა სიმწვავე და კრიტიკულობა და ნაკლებად საინტერესო იყო.

ცალკე საკითხია ვიზუალური მხარე. 21-ე საუკუნეში ტელევიზია, უპირველეს ყოვლისა, ვიზუალურია. თუ გამოსახულება არ შექმენი, მაყურებელს ვერ მიიზიდავ. ქ-ნი თამარი, ალბათ, უფრო კარგად ახსნის, რატომ ვერ მოხერხდა „კარტინკის“ შექმნა და „ვიზუალის“ გამოსწორება ამდენი ხნის განმავლობაში. მეორე, ჩემი აზრით, რაც ყველაზე მეტად აკლდა ამ ტელევიზიას, და რაც ხშირად აკლია ხოლმე დოტაციაზე მყოფ ტელევიზიებს, ის არის, რომ წამყვანებს და ჟურნალისტებს მაინცდამაინც არ აინტერესებთ აუდიტორია. მაყურებელსა და ჟურნალისტებს შორის კავშირი დაიკარგა, მათ შორის ურთიერთობა ამ არხზე არ ჩანდა, ისევე როგორც ის, რომ წამყვანებს რეალურად აინტერესებდათ მაყურებელი და მათთვის მსჯელობდნენ. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ გადაცემები - განსაკუთრებით „ღამის საუბრები“ - იმ ადამიანებისთვის იქმნებოდა, რომლებიც სტუდიაში იმყოფებოდნენ. ისინი ერთმანეთში საუბრობდნენ, მათი ფოკუსი და ინტერესი არ ყოფილა აუდიტორია. ეს, ჩემი აზრით, იმითაც აიხსნება, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ ტელევიზიაში მომუშავე ადამიანების უმრავლესობა ჩემი ახლობელია და მათ ძალიან დიდ პატივს ვცემ, ისინი არ არიან პროფესიონალი ჟურნალისტები. პროფესიონალი ჟურნალისტი ნიშნავს, გიყვარდეს შენი პროფესია და ის შენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პროფესია

იყოს. პირველადი პროფესია, აქ, ძალიან ბევრისთვის არ ყოფილა ჟურნალისტიკა, ამიტომ მათში არ იგრძნობოდა ის ინტერესი, რომელიც უნდა ამოძრავებდეს ტელევიზიაში მომუშავე წამყვანს და ჟურნალისტს. ამავდროულად, ის თითქმის კლუბური არხიც გახდა. იქ ხშირად იწვევდნენ ერთსა და იმავე ადამიანებს. მიუხედავად იმისა, რომ მათი ღირებულებები და შეხედულებები ჩემთვის აბსოლუტურად მისაღებია, მაინც მგონია, რომ არხი ერთ წრეში ჩაიკეტა და გაუჭირდა, მოეცვა საზოგადოების უფრო ფართო ფენები. აი, ეს არის ჩემი აზრით ის პრობლემები, რომლებიც, არ ვიცი, ამდენი ხნის განმავლობაში რატომ ვერ მოგვარდა.

რაც შეეხება ბოლო პერიოდის მოვლენებს, რომელთა გამოც საზოგადოებრივი მაუწყებელი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის „საჯილდო კვად“ იქცა, ეს ძალიან ცუდი პრეცედენტია. ეს პროცესი გრძელდება და იმაზე მიაწვდის, რომ საზოგადოებრივი არხი ვერ დაიცვა კანონმა და ოპოზიციის მხრიდან მასზე აშკარა პოლიტიკურ გავლენას და ზეწოლას ჰქონდა ადგილი. თუმცა ამ მომენტში ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რომ სამეურვეო საბჭო, ორგანო, რომელსაც უნდა დაეცვა არხი, ფაქტობრივად აღარ მუშაობდა. სულ რამდენიმე წევრი იყო დარჩენილი ძველი საბჭოდან. ჩნდება კითხვა იმის შესახებ, თუ რატომ გახდა პრობლემა ამდენი ხნის განმავლობაში სამეურვეო საბჭოს შევსება?

**თამარ კინწურაშვილი** – ამ კითხვაზე პასუხს აქ ვერავინ გაგცემთ, იმიტომ, რომ ეს საკითხი უშუალოდ არის დამოკიდებული პრეზიდენტსა და პარლამენტზე.

**ეკა კვესიტაძე** – ფაქტია, რომ ამ საბჭომ თავისი ფუნქცია სწორედ მაშინ ვერ შეასრულა, როდესაც ეს ყველაზე მეტად იყო საჭირო. ჩემი აზრით, არც ახალი სამეურვეო საბჭო იქნება გამორჩეული და შეცვლის რამეს, თუმცა, გამიხარდება, თუ ეს მოლოდინი არ გამართლდება. ყველაფერი დამოკიდებული იქნება ახალ გენერალურ დირექტორზე, თუ ისიც პოლიტიკური შეთანხმების შედეგად შეირჩა, ეს თავისთავად, უკვე ძალიან ცუდი იქნება. მართალია, აღფრთოვანებული არ ვყოფილვარ საზოგადოებრივი მაუწყებლის მუშაობით, მაგრამ არა ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ცვლილებები, რომლებიც იქ მოხდება, აუცილებლად უკეთესობისკენ წაიყვანს ამ მაუწყებელს.

კიდევ ერთი საკითხი – ოპოზიციის მხრიდან ხშირად ისმოდა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი არ გამოხატავდა საზოგადოების ინტერესებს. უნდა დავაკონკრეტოთ, რას ნიშნავს საზოგადოების ინტერესები, რადგან პოლიტიკურმა პარტიებმა ამ ინტერესებს პოლიტიკური დატვირთვა შესძინეს. ისინი საზოგადოების ინტერესად ასახელებდნენ მიტინგის მიმდინარეობის პირდაპირ ეთერში გაშვებასაც, რაც, ჩემი აზრით, არასწორი იქნებოდა. ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვილაპარაკოთ იმაზე, რა არის საზოგადოებრივი ინტერესი და რა ინტერესს უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივი მაუწყებელი.

**გოგი გვახარია** – დღეს, რა თქმა უნდა, ვისაუბრებთ იმაზე, თუ როგორი იყო საზოგადოებრივი მაუწყებელი, მაგრამ უნდა ვილაპარაკოთ იმაზეც, რას ელის საზოგადოება საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლისგან.

**თამარ კინწურაშვილი** – როდესაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ შენიშვნებს გამოთქვამთ, სასურველი იქნება, თუ ისინი უფრო კონკრეტული იქნება. რეიტინგზე საუბრისას კი მაინტერესებს, რომელ წყაროს ეყრდნობით. იქნებ, როდესაც მოხსენებას ამზადებთ, იგი კონკრეტულ კანონსა და ფაქტებს ეყრდნობოდეს. მე მზად ვარ, ყველაფერზე გაგცეთ პასუხი. კანონი განსაზღვრავს სამეურვეო საბჭოს შემადგენლობის შევსებას. ეს არ არის გენერალური დირექტორის კომპეტენცია. სამეურვეო საბჭოს წევრების ვაკანსიებზე პრეზიდენტი აცხადებს კონკურსს და მათ პარლამენტი ნიშნავს. ნოემბრის ამბების შემდეგ



შექმნილი კრიზისის გამო არ მოხერხდა მათი დანიშვნა და ამაზე პარლამენტი პასუხისმგებელი, იმიტომ რომ ეს მისი კომპეტენციაა.

რაც შეეხება რეიტინგებს, ორი ალტერნატიული წყარო არსებობს. პირველს ჩვენ უნდობლობა გამოუვცხადეთ იმის გამო, რომ კვლევების აფიშირებას პოლიტიკური კონიუნქტურის შესაბამისად ახდენდა, ეს არის კომპანია „ეი-ბი-ჯი“. რაც შეეხება მეორე კვლევის შედეგებს, ამ მონაცემებით, საზოგადოებრივი მაუწყებელი მესამე ადგილზე იყო, დღეს კი მეორეზეა. არსებულთან შედარებით, ზრდის ნელი ტენდენცია შეინიშნება. რასაც ვერ გავაკეთებდით, იმაზე პრეტენზია არც გვქონია. იმ გეგმაში, რომელიც თავის დროზე სამეურვეო საბჭოს წარუდგინე, საუბარი იყო სამწლიან პერიოდზე. ჩვენი გეგმები ტექნიკური ხარისხის გაუმჯობესებასაც გულისხმობდა. ეს პროცესი სამეურვეო საბჭოს არარსებობამაც შეაფერხა. ვიზუალის მოწესრიგება მხოლოდ ტექნიკური გადაიარაღების შემდეგ არის შესაძლებელი. ყველაზე კარგი ტექნიკური ბაზა საქართველოში ტელეკომპანია „იმედს“ ჰქონდა, რომელშიც ბადრი პატარკაციშვილმა თავის დროზე ძალიან დიდი ერთჯერადი ინვესტიცია ჩადო.

რაც შეეხება იმ მილიონებს, რომელიც დღეს ტელევიზიას აქვს – წლევეანდელი ბიუჯეტი იყო 17 მლნ 400 ათასი ლარი. ქონების რეალიზაციის ხარჯზე, საპარლამენტო არჩევნების დროს, დამატებით 8 მლნ ლარი მივიღეთ. ამ თანხიდან 4 მლნ 500 ათასი ლარი ტექნიკურ გადაიარაღებას მოხმარდა. ჩვენ ვემზადებოდით არჩევნებისთვის, რომელიც შემოდგომაზე იყო დანიშნული, გვქონდა პროექტი, რომელიც ყველა ამ პრობლემის კომპლექსურად მოგვარებას ისახავდა მიზნად, ოღონდ კრედიტის ხარჯზე. მის აღებაზე წინა სამეურვეო საბჭოსაგან გვქონდა თანხმობა. გავლენიანი ხარ მაშინ, როდესაც ძლიერი ხარ, საამისოდ კი, შენს კონკურენტებთან შედარებით თანაბარი პირობები უნდა გქონდეს. საქმე პირველ რიგში საინფორმაციო გადაცემის ვიზუალს ეხება, იმიტომ, რომ საინფორმაციო გადაცემა ნებისმიერი არხის სავიზიტო ბარათია. ის სტუდია, რომელიც ჩვენ დაგვხვდა, ძალიან ვიწროა და არ იძლევა დეკორაციის შეცვლის საშუალებას. ტელევიზიას დიდი ფართობი უკავია, მაგრამ ტექნიკურად აღჭურვილი მხოლოდ ორი სტუდია აქვს. ჩვენ დავიწყეთ ახალი სტუდიის მშენებლობა, ამისთვის გერმანელი სპეციალისტები მოვიწვიეთ. ისინი არხის შეფუთვის შეცვლაზე მუშაობდნენ, მაგრამ ვიდრე არ დასრულდება ამ სტუდიის მშენებლობა და არ იქნება სივრცე, სადაც შესაძლებელი იქნება დეკორაციის განთავსება, შეუძლებელი იქნება მუშაობა.

გამოსახულების პრობლემა დაკავშირებულია გადამცემებთანაც. გადამცემები, რომელთა მეშვეობითაც ვრცელდება ჩვენი პროგრამები, ძალიან მოძველებულია, „ლამპურ“ პრინციპზე მუშაობს. მას გაცილებით მეტი ენერგია და რესურსი სჭირდება. როდესაც გაქვს არჩევანი ციფრულ მაუწყებლობასა და „ლამპურ“ მაუწყებლობას შორის, რა თქმა უნდა, პირველს ირჩევ. გავრცელებაში არის კორუფციული სისტემა. ის ადამიანი, სახელმწიფო შპს-ს წარმომადგენელი, რომელიც უზრუნველყოფს ტელე-რადიო პროგრამების გავრცელებას, იმავდროულად „იმედშიც“ მუშაობს და სარგებლობს ჩვენი სიხშირეებით. კონკრეტული მაგალითი შემიძლია მოგიყვანოთ – სოფელ ჯვარში მეორე არხის გადამცემით, რომელიც არ ფუნქციონირებს, ვრცელდებოდა ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემები, იმიტომ, რომ იყო კორუფციული გარიგება. როდესაც ვერ აკონტროლებ გადამცემებს, ძალიან რთულია მუშაობა. სიხშირეების რესურსი შეზღუდულია, მათით ვიღაც კონკრეტული ადამიანი ხეირობს; ცალკე, რეგიონული ტელევიზიები სარგებლობენ, ცალკე – სხვა ტელეკომპანიები. ის პროექტი, რომელიც ჩვენ გერმანულმა კომპანიამ მოგვიმზადა, 4 მლნ ევრო ღირს და კრედიტის ხარჯზე უნდა განხორციელდებოდა. ის სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდა ბევრი ტელეკომპანიის მეკობრულ გადამცემებს და ჩაახშობდა მათ სიხშირეებს, იმიტომ რომ გვექნებოდა სუპერთანამედროვე, მძლავრი გადამცემები. თუ ალტერნატიული გავრცელების სისტემა არ შეიქმნა, ვერ გააკონტროლებ, რა ხდება რეგიონებში. ჩვენ ოფიციალურად ვურიცხავთ მომსახურების თანხას, ცალკეული ტელეკომპანიები კი, ნაღდის სახით უდებენ

ჯიბეში ფულს. ამ კორუფციული სისტემით ზარალდება საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც ამ ეტაპზე არავის, მათ შორის, არც ხელისუფლებას, აინტერესებს. ოპოზიციას აინტერესებს იმდენად, რამდენადაც დაინტერესებულია დაუბალანსებელი გაშუქებით.

ეკა კვესიტაძემ ჟურნალისტების არაპროფესიონალიზმიც ახსენა. თუ მონიტორინგის შედეგით, საინფორმაციო დაბალანსებულად მუშაობდა და ეს ევროსაბჭოს დასკვნაშიც იყო აღნიშნული, ის ადამიანები, ვინც ამას აკეთებდა, არაპროფესიონალებად არ უნდა იწოდებოდნენ. ისიც ითქვა, რომ ერთ წრეში ვტრიალებთ. ჩაკეტილობის პრობლემა, გარკვეულწილად, მართლაც იყო, მაგრამ თანდათან დაიძლია. ჩვენ ვცდილობდით, ყველა მხარე გვეყოლოდა წარმოდგენილი დისკუსიაზე, მაგრამ განსხვავებული აზრის მიუღებლობას ვაწყდებოდით.

ერთ-ერთი პრობლემა იყო კომუნიკაციის არარსებობა საზოგადოებასთან. ამ ფუნქციას, ალბათ, სამეურვეო საბჭო მომავალში უკეთესად შეასრულებს. მისი უშუალო ფუნქცია სწორედ საზოგადოებასთან ურთიერთობაა და არა კონკრეტულ გადაცემებზე ფიქრი.

**გოგი გვახარია** – მე მჯერა, რომ კორუფციული გარიგებები არსებობდა გადამცემებთან დაკავშირებით, მაგრამ ერთი შენიშვნა მიჩნდება: თქვენ გქონდათ საშუალება ამაზე თქვენს საინფორმაციო გადაცემაში გესაუბრათ.

**თამარ კინწურაშვილი** – ჩვენ ამას ვაკეთებდით. სოფელ ჯვართან დაკავშირებული ინციდენტი არა მარტო გავაშუქეთ, პროკურატურასაც შევატყობინეთ. ბორია ადამია მოხსნეს სამსახურიდან, მაგრამ შემდეგ კვლავ დააბრუნეს, რადგან აღმოჩნდა, რომ მის გარდა ეს საქმე არავინ იცის კარგად.

**გოგი გვახარია** – თამარმა ხელისუფლება ახსენა, ეკამ აქცენტი ოპოზიციაზე გააკეთა. ცოტა უცნაურად მეჩვენება, რომ ნოემბრის ამბების მერე საქართველოს პრეზიდენტი პირველად „რუსთავი2-ის“ ეთერში ვიხილეთ და არა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში. ხელისუფლების მხრიდანაც ხომ არ იყო ბოიკოტი საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ და რაში გამოიხატებოდა იგი, ან რა იყო ამისი მიზეზი?

**ზვიად ქორიძე** – დიდი მადლობა მოწვევისა და ამ თემის წამოწვევისთვის. ერთი თვის წინ დისკუსია, ალბათ, სხვანაირად ჩაივლიდა. ჩემი აზრით, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ, საზოგადოებაში, ინტერესი დიდია. საზოგადოებას მაინც აქვს იმის მოლოდინი, რომ ეს არის მისი ინტერესების გამომხატველი არხი. საზოგადოებრივი ინტერესი, შესაძლოა, ისეთივე ამორფული ფრაზაა, როგორც სახელმწიფო ინტერესი და ა.შ., მაგრამ საზოგადოებაში ძალიან ბევრი კითხვაა, რომელთა დასმასაც და მათზე პასუხებს საზოგადოება ელის. საზოგადოებაში არის ტენდენციები, რომელთა ეკრანზე ხილვის სურვილიც ამავე საზოგადოებაში ასევე არსებობს. ეს ყველაფერი საჭიროებს დისკუსიას.

დღეს ორი გამოკვეთილი ტენდენცია შეინიშნება და, სამწუხაროდ, მედიამ ორივე აიტაცა. ერთია ის, რომ საზოგადოება უნდა აღვზარდოთ. საზოგადოებრივ არხზე ეს პრობლემა ასე პირდაპირ არ დამდგარა, მას ერთ-ერთ კერძო არხზე წავაწყდი, სადაც სარედაქციო პოლიტიკაში უწერიათ, რომ მათ ახალი ადამიანი, ახალი საზოგადოება უნდა აღვზარდონ. მაგრამ ეს მედიის ზოგადი ტენდენციაა, თითქოს ჩვენ უფრო მაღლა ვიყოთ და გვქონდეს ვიღაცის დამოძღვრისა და მისთვის ქცევის წესების სწავლების უფლება.

და მეორე ტენდენცია – თითქოს დღეს არ არის მთავრობის კრიტიკის დრო, თითქოს მთავრობა ნოვატორი და ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალი ინიციატივების შემომტანია და მას სწორად ვერ უგებს საზოგადოება, ამიტომ საზოგადოება უნდა ვაკრიტიკოთ. არა აქვს მნიშვნელობა, რომელ ტენდენციას დაუჭერს მხარს მედია, ის ავტომატურად ხდება მენტორი. ქართულმა მედიამ ეს გზა აირჩია. მენტორის მიღება კი, ჩემი

აზრით, საზოგადოებას უჭირს. საზოგადოება აქეთ გვთავაზობს დისკუსიის რეჟიმს და სურს, რომ ვიკამათოთ. თუ საზოგადოებას არ შესთავაზებ ამ მოდელს და თამაშგარე მდგომარეობაში დატოვებ, ძალიან იოლია, რომ მან არ მიგიღოს და ვერც გახდეს საზოგადოებრივი ტელევიზია. კომუნიკაციის საუკეთესო საშუალება სწორედ დისკუსიაა. ვეთანხმები ეკა კვესიტაძეს - საზოგადოებრივი მაუწყებლის ყველაზე დიდი პრობლემა ის იყო, რომ მან დაკარგა კომუნიკაცია საზოგადოებასთან. როდესაც ვსაუბრობ იმაზე, რომ დისკუსიის მოდელი არ მიიღო საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, სწორედ ამას ვგულისხმობ. ვგულისხმობ კომუნიკაციას არა “პრომოუშენის”, არამედ იმ თვალსაზრისით, რომ თვითონ საზოგადოებას რამდენად ეძლევა საშუალება, დიალოგი აწარმოოს ამ არხთან. არსებობს დისკუსიის ორი ფორმა – ერთია დისკუსია, როგორც დისკუსია თავისი ფორმით, როდესაც ერთ სივრცეში, სტუდიაში ვიკრიბებით და ვკამათობთ, და არის მეორე დისკუსია, როდესაც გავაკეთებ გადაცემას ან სიუჟეტს და მას შემდეგ მოჰყვება დისკუსია საზოგადოებაში. იგი საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს დაინტერესებს, იქნება უკუკავშირიც და მე მივხვდები, რომ ეს თემა უნდა განვაკითხო. რამდენად იყო ეს ფორმები შენარჩუნებული საზოგადოებრივ მაუწყებელზე, ამის შესახებ მინდა ვისაუბრო ახლა.

დისკუსიის ფორმით მოწოდებული დისკუსია საზოგადოებრივ არხზე მხოლოდ „კედელია“, რომელიც თანდათან ასევე გადაიქცა მენტორულ შოუდ, სადაც მოსული სტუმარი იქ შეკრებილ საზოგადოებას ჭკუას ასწავლის. მოწვეული სტუმარი არ იყო ერთ-ერთი ჩვენგანი, ის ცალკე იყო, შეკრებილი საზოგადოება – ცალკე, რითაც ირღვეოდა დისკუსიის დემოკრატიული გარემო. ძნელად მახსენდება ისეთი გადაცემა, ფილმი ან „მოამბის“ სიუჟეტი, რომელმაც ამ სამი წლის განმავლობაში საზოგადოებაში დიდი დისკუსია გამოიწვია, რომლის გამოც შეიძლებოდა სადმე, რომელიმე ჯგუფში, რომელიმე აუდიტორიაში შეეკრებილიყავით და გვეკამათა. მე არ ვუბრუნდები ფილმს „ნოემბრიდან ნოემბრამდე“. ანუ, დისკუსიის არც ამ კონტექსტის ფორმას უმუშავია. შესაძლოა, ზოგიერთი გადაცემა მართლაც არ ყოფილა ჩამოსაწერი, ოღონდ ეს რეაქცია არ მოჰყოლია. ამის მიზეზი იყო სწორედ ამ კომუნიკაციის დეფიციტი, რომელიც აღმოაჩნდა მთელ მაუწყებელს. ვშიშობ, რომ ეკა კვესიტაძის მოსაზრებების გამეორება მიწევს, იმიტომ, რომ მან ვრცლად ისაუბრა ამ თემაზე. ბოლოს საზოგადოებრივი მაუწყებლის წამყვანები უკვე მხოლოდ ერთმანეთს უსმენდნენ და მონაწილეობდნენ ერთმანეთის გადაცემებში. ეს არ ეხება მხოლოდ „ღამის საუბრებს“. ამან გამოიწვია არცთუ ცუდი წამყვანების მარგინალიზება.

კომუნიკაციის დაკარგვის საუკეთესო ნიმუში იყო 2007 წლის 4 ნოემბრის ღამე, როდესაც საზოგადოებრივ მაუწყებელს უკვე ჰქონდა მოწოდებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გარეთ უმუშევრები და ლოთები იყვნენ შეკრებილები და რომ ხალხს ბადრი პატარკაციშვილმა ფული დაურიგა. არხი გვთავაზობს პრეზიდენტთან ინტერვიუს, სადაც პრეზიდენტი გვეუბნება, რომ წელს საქართველოში პირველად დაიწყო მწილის წარმოება. ეს იყო კომუნიკაციის აღრევის ნიმუში, საზოგადოება ამ ადამიანისგან სხვა რამეს ელოდა და სულ სხვა რამ მიიღო. ამ ინტერვიუს წამყვანი<sup>2</sup>, ჩემი აზრით, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და კარგი ტელესახე ქართულ მედიასივრცეში, ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა. საზოგადოებრივ მაუწყებელს დავით აფრასიძისთვის მაქსიმალურად იდეალური პირობები უნდა შეექმნა. ასეთი რესურსის გამოყენება ასეთი ინტერვიუსთვის, მე ცოტა მეუხერხულება.

ვიცი, რომ დარბაზში მყოფ საზოგადოებას ბევრი რამ აქვს სათქმელი, ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებ, მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ 7 ნოემბერი გარდამტეხი მომენტი იყო. ის ამ კონკრეტულ თემაზე საუბრისას ორი პროცესის შემაერთებელი ნიშნულია. ეს არის ერთი მხრივ, ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური კრიზისი და მეორე მხრივ, თავად საზოგადოებრივი მაუწყებლის კრიზისი. რა თქმა უნდა, მე

<sup>2</sup> იგულისხმება დავით აფრასიძე.

მოვისმენ მოსაზრებას, რომ შესაძლოა, ეს არ იყო კრიზისი, მაგრამ იმ საინფორმაციო პოლიტიკამ, თუ როგორ შეუქცებოდა ეს მოვლენები, იმ ათდღიანმა პერიოდმა, როდესაც საზოგადოება მხოლოდ საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვებების ამარა დარჩა, და იმ ორმა ფილმმა ამ არხზე კრიზისული ვითარება შექმნა. ეს ორი კრიზისი გადაჯაჭვულია, მათ ერთმანეთი გამოიწვიეს. მათი შედეგი იყო ის, რომ პოლიტიკურმა ძალებმა იხელთეს დრო და საზოგადოებრივი მაუწყებლის მონოპოლიზება გადაწყვიტეს. ეს ძალიან ცუდი ნიშნული იყო, იმიტომ, რომ იმ მომენტისათვის, ფორმალურად მაინც, საზოგადოებრივი მაუწყებელი პოლიტიკური და კომერციული ზეგავლენისაგან თავისუფალი იყო, თუმცა პერიოდულად მაინც ჩნდებოდა ხოლმე რეკლამა არხზე. უკეთესი იქნებოდა, საზოგადოებრივ მაუწყებელს საერთოდ არ ჰქონოდა რეკლამა.

პოლიტიკური ზემოქმედება კი, რაზეც აქამდე მხოლოდ ეჭვის დონეზე თუ შეგვეძლო საუბარი, დღეს უკვე, პრაქტიკულად, პოლიტიკური შეთანხმების სახით გაფორმდა, იმიტომ რომ მმართველმა ძალამაც და ოპოზიციამაც გადაწყვიტეს ხელის ფათური საზოგადოებრივ მაუწყებელში. თავად სამეურვეო საბჭოს თუ აღმთავრობის რესურსი თავი დაიცვას და დაიცვას საზოგადოებრივი მაუწყებელიც, კარგი იქნება. ყოველ შემთხვევაში, კანონი აძლევს მას ამის საშუალებას. რას ელის საზოგადოება საზოგადოებრივი მაუწყებლისგან? მე ერთადერთი პასუხი მაქვს ამ ეტაპზე – კომუნიკაციის აღდგენას.

**გოგი გვახარია** – დიდი მადლობა. იქნებ, მოგვიანებით იმაზეც ვისაუბროთ, იძლევა თუ არა ოპტიმიზმის საფუძველს არჩეული სამეურვეო საბჭო.

**თამარ კინწურაშვილი** – მხოლოდ ერთი საკითხის დაზუსტება მინდა. პოლიტიკური კრიზისი 7 ნოემბრის ფილმმა<sup>3</sup> გამოიწვია?

**ზვიად ქორიძე** – არა, პოლიტიკური კრიზისი ქვეყანაში არსებობდა. მე ორ პარალელურ კრიზისზე ვსაუბრობდი, ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ კრიზისზე და არხზე არსებულ კრიზისზე.

**თამარ კინწურაშვილი** – არხზე არსებული კრიზისი რაში გამოიხატება?

**ზვიად ქორიძე** – გავიხსენოთ ის ათდღიანი პერიოდი, როდესაც საზოგადოება ინფორმაციას მხოლოდ ამ არხიდან იშენდა.

**თამარ კინწურაშვილი** – საგანგებო მდგომარეობა მხოლოდ ღია ინფორმაციის გავრცელებას გულისხმობს. იმ პერიოდში საავადმყოფოებიდან ინფორმაცია არ გამოდიოდა. საგანგებო მდგომარეობის შესახებ კანონი ინფორმაციის შეზღუდვას ითვალისწინებს.

**ზვიად ქორიძე** – საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ვერ უზრუნველყო, დროულად გადაეცა ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ პრეზიდენტის განკარგულება, რასაც შედეგად მოჰყვა ბათუმის მოვლენები. ღამის პირველის ნახევარზეც კი, არხმა გადასცა ინფორმაცია, რომ საგანგებო მდგომარეობა მხოლოდ თბილისში გამოცხადდა, მაშინ როცა იგი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა.

**თამარ კინწურაშვილი** – ეს არასწორი ინფორმაციაა. ჩვენ პრეზიდენტის ბრძანება იმ სახით გადავეცით, როგორი სახითაც მივიღეთ. ჩვენ მივედით კობა დავითაშვილთან, მაგრამ გორის ჰოსპიტალში არ შეგვიშვეს. ის გარეთ გამოვიყვანეთ და ვაჩვენეთ ნაცემი კობა

<sup>3</sup> „ნოემბრიდან ნოემბრამდე“



დავითაშვილი. ის, რომ ჩვენ შიგნით არ შეგვიშვეს, ჩვენი ბრალი არ ყოფილა, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმით იყო განპირობებული. თავისუფალი გადაადგილების უფლება შეზღუდული იყო.

**ზვიად ქორიძე** – თუ საგანგებო მდგომარეობის დროს არ შეიძლებოდა ინფორმაციის გადაცემა, რატომ აჩვენეთ ის ორი ფილმი?

**თამარ კინწურაშვილი** – ეს განსხვავებული აზრის მიუღებლობაა. ეს იყო ხელისუფლების მიერ მომზადებული ფილმი, რომელშიც ნოემბრის მოვლენების მისეული ვერსია იყო გადმოცემული და სახელისუფლებო პოზიციას გამოხატავდა. ამ პოზიციასაც აქვს არსებობის უფლება, ისევე როგორც თქვენს მოსაზრებებს.

**ზვიად ქორიძე** – მე მოსაზრების მიუღებლობას არ ვგულისხმობ. მხოლოდ ის მაინტერესებს, საგანგებო მდგომარეობის პირობებში, როდესაც იკრძალება ინფორმაციის გავრცელება, რატომ არ იყო შეზღუდვა იმ ინფორმაციის გადაცემაზე, რომელიც ამ ფილმის სახით გადაეცით?

**თამარ კინწურაშვილი** – ეს შეცდომა იყო და ამის შესახებ მე უკვე მოგახსენეთ. ეს იყო ტექნიკური შეცდომა და მე მას ვაღიარებ. მაგრამ ვინ, თუ არა საზოგადოებრივმა არხმა, უნდა გაახმოვანოს ხელისუფლების ოფიციალური პოზიცია. როდესაც სხვა არხებზე ჩნდება პირველად ხელისუფლების წარმომადგენელი, ეს უფრო დიდ პრობლემად მიმაჩნია. სხვათა შორის, დისკუსიის ფორმაზე როდესაც საუბრობდით და თქვით, რომ არ არსებობდა ეს ფორმა და მხოლოდ „კედელში“ იყო წარმოდგენილი, არც ეს არის სწორი. დისკუსიას ჰყავს ორი მხარე. თუ ორივე მხარე არ მოდის და არ ჯდება ერთ მაგიდასთან, შენ ვერ აიძულებ მათ ამის გაკეთებას. ამის პრობლემა რეალურად არსებობდა. იმ ეტაპზე თან ორი ძირითადი მოთამაშე იყო ერთი მხრივ, „იმედი“, ოპოზიციური არხი და მეორე მხრივ – „რუსთავი2“, სახელისუფლებო არხი. როდესაც არჩევანი დგებოდა, მესმის მათი პრაგმატული მოსაზრებები, ეს არხები გაცილებით რეიტინგული იყო, ყოველთვის იქ მიდიოდნენ. არაერთხელ მოვიწვიეთ, მაგალითად, ქართული აკადემიის წარმომადგენლები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით უარს ამბობდნენ ჩვენთან მოსვლაზე. როდესაც მე ვთქვი, რომ საზოგადოება არ იყო დაინტერესებული საზოგადოებრივი მაუწყებლით, ეს ვიგულისხმე. ეს თემა აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც პოლიტიკოსებმა დააყენეს დღის წესრიგში. თქვენ არავინ გიშლიდათ ხელს აქამდეც დაინტერესებულიყავით, მიგელოთ მონაწილეობა სამეურვეო საბჭოსთან არსებული საბჭოების მუშაობაში. ჩვენ გამოვაცხადეთ კონკურსი, მაგრამ ამ პროცესში ჩართვის სურვილი ბევრს არ გამოუთქვამს. მერე იძულებულნი გავხდით ჩვენი გაგვეკითხა, მოგვეძებნა გენდერული ენჯეები, პოლიტიკოსებს დავკავშირებოდით. საბჭოები სხვადასხვა ნიშნით შეიქმნა. არის გენდერული, პოლიტიკური, რელიგიური, ეთნიკური ნიშნით დაკომპლექტებული საბჭოები. საკუთარ პასუხისმგებლობაზეც უნდა ვიფიქროთ. მე ვაცნობიერებ საკუთარ პასუხისმგებლობას. მაშინ, როდესაც ლევან გაჩეჩილაძე დააყენებს საკითხს დღის წესრიგში და ყველანი ერთად დავესვით საზოგადოებრივ მაუწყებელს, გაცილებით იოლია კრიტიკა, მაგრამ მანამდე სად იყავით და რატომ არ ინტერესდებოდით; როდის შეგეზღუდათ უფლება ჩვენს ეთერში გაგვეკრიტიკებინეთ და გამოგეთქვათ თქვენი მოსაზრებები?

**ეკა კვესიტაძე** – ერთი შეკითხვა მაქვს, არჩევნების შემდეგ რატომ იყო ერთკვირიანი ვაკუუმი. რა არგუმენტი გქონდათ საიმისოდ, რომ წამყვანებს დაესვენათ?

**თამარ კინწურაშვილი** – ნოემბრის მოვლენების შემდეგ ჩვენ საგანგებო რეჟიმში ვმუშაობდით. ჩვენი სარედაქციო გადაწყვეტილება იყო „მოამბის“ ფორმატში მოგვეწვია ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც არჩევნების მონიტორინგს ახდენდნენ და მიგვეცა მათთვის საშუალება ესაუბრათ კონკრეტულ დარღვევებზე. მოწვეული გვყავდა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ და „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენლები, რომლებიც არავის შეუზღუდავს და „მოამბის“ ფორმატში, თოქ-შოუს რეჟიმში საუბრობდნენ დარღვევებზე.

**ზვიად ქორიძე** – ყველა სიუჟეტის და გადაცემის გამო ვერ გექნება რეაქცია, რაღაც შეიძლება მოგეწონოს ან არ მოგეწონოს, მაგრამ ის ფილმი საკვანძო იყო, ამიტომაც მაშინვე, მყისიერად მოჰყვა საზოგადოების რეაქცია. ის ფილმი არ უნდა გასულიყო, რადგან საზოგადოების ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული. მე არ ვიცი, ხელისუფლებას ამით რისი თქმა უნდოდა, მაგრამ ის, რომ ამით საზოგადოებრივმა არხმა სერიოზული ხარაკირი ჩაიტარა, ეს ფაქტია.

**შორენა შავერდაშვილი, ჟურნალ „ცხელი შოკოლადის“ რედაქტორი** – ზვიად, თქვენ თქვით, რომ ტელევიზია არ შეიძლება გახდეს საზოგადოების მენტორი, და როდესაც ამ ფუნქციას კისრულობს, საზოგადოებისგან ამას უკურეაქცია მოჰყვება. იქნებ, განმიმართოთ, რას გულისხმობთ ამაში, იმიტომ რომ შეიძლება, საზოგადოების დიდ ნაწილს ქსენოფობიური იდეოლოგია და მოსაზრებები ჰქონდეს, ან ისეთ რამეს მოითხოვდეს, რაც არ ჯდება იმ ფასეულობებში, რომლებითაც ჩვენ გვინდა ცხოვრობდეს საზოგადოება. ამ შემთხვევაში ვინ ვის კარნახობს, ტელევიზიამ მხოლოდ ის რომ ასახოს, რაც ხდება საზოგადოებაში, ის შეიძლება გაურკვეველი ღირებულებებისა და ფასეულობების ამსახველი გახდეს. საზოგადოებრივ მაუწყებელს აქვს თუ არა ამაზე მეტი ფუნქცია, განსხვავებით კომერციული მაუწყებლობებისაგან?

**გოგი გვახარია** – ზვიადმა თქვა, რომ ტელევიზიებში გავრცელებულია აზრი, რომ საზოგადოება უნდა აღვზარდოთ. მე თუ მკითხავთ, ტელევიზიებში არ არის გავრცელებული ეს აზრი და ეს ძალიან ცუდია. ლაპარაკია განათლების დეფიციტზე. მე მგონი, საზოგადოებრივი მაუწყებლის ვალია საზოგადოების აღზრდა და ის ამას კარგად ვერ აკეთებდა.

**ზვიად ქორიძე** – შემეცნებითი და საგანმანათლებლო პროგრამები სხვა რამეა, საზოგადოების აღზრდა კი, სხვა. ავიღოთ პროპაგანდისტული ტელევიზიის კეთების მექანიზმი და გამოვიყენოთ. როდესაც გვაქვს ეჭვი, რომ საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა ქსენოფობიურად არის განწყობილი, თუმცა, შესაძლოა, ესეც საკამათო იყოს, მიმაჩნია, რომ ეს დისკუსიის თემა უნდა გახდეს. სამი კვირის წინ გადაცემა „კედელში“, რომელიც ტოლერანტობის თემასა და ეროვნულ უმცირესობებს ეძღვნებოდა, მოწვეული იყო სოზარ სუბარი. დარბაზში მჯდომ აუდიტორიას მკაფიოდ გამოხატული ანტისომხური და ანტიჩინური მოსაზრებები ჰქონდა. მთელ აუდიტორიაში გამოჩნდა ერთადერთი კაცი, რომელმაც თქვა, რომ სომეხიც კაცია და მას წამყვანიც დაეთანხმა. ეს იყო მთელი აღმზრდელობითი მუშაობა. ასე ვერ შეასრულებ ამ ფუნქციას, მე პრინციპზე ვსაუბრობ.

**თამარ კინწურაშვილი** – მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ჩვენი ყველა წამყვანი იდეალურია და ბოლომდე პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც გადაცემის წამყვანი უნდა პასუხობდეს, მაგრამ ეს არის გადაცემა, სადაც ადამიანებს აქვთ აზრის გამოთქმის საშუალება. მე არ მინახავს ეს გადაცემა, მაგრამ სადაც სოზარ სუბარი იმყოფებოდა, იქ გადაცემა ასე არ დასრულდებოდა. ნუ ჩავეჭიდებით ერთ ფრაზას. ჩვენ ვზრუნავთ

საზოგადოებაში ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრებაზე და არა მენტორული ტონით საზოგადოების აღზრდაზე. საზოგადოებრივი მაუწყებლის ამოცანა სწორედ ის არის, ხელი შეუწყოს შემეცნებითი გადაცემებით საზოგადოების მეტ ინფორმირებას და გარკვევას რაღაც საკითხებში.

**გოგი გვახარია** – ზვიადის ნათქვამი არ არის ჩემთვის ახალი. ის, რომ მედია გაზეთ „პრაგდას“ არ უნდა დაემსგავსოს, ამაზე ბევრი ლაპარაკობს. ჩემი აზრით, ეს პარალელი ძალიან უხეში და სწორხაზოვანია. ამაზე ახლა ვერ ვიკამათებთ, ეს ალბათ უფრო პროამერიკული მოსაზრებაა, რომ თუ ტელევიზია იღებს ადამიანის აღზრდის ფუნქციას, ეს აუცილებლად გაზეთ „პრაგდას“ ტრადიციაა.

**ეკა აღდგომელაშვილი, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი** – ამჟამად წარმოვადგენ ფონდ „ინკლუზივს“, რომელიც სექსუალურ უმცირესობათა პრობლემებზე მუშაობს. ვარ გენდერული კომისიის წევრიც, რომელიც საზოგადოებრივ მაუწყებელთან არსებობს. ეს ყველაფერი იმიტომ ჩამოვთვალე, რომ კარგად მაქვს გაცნობიერებული, რა მინდა საზოგადოებრივი მაუწყებლისგან, ვიცნობ მის წესდებსაც და შესაბამისად, რადგან ქნმა თამარმა ბრძანა, რომ კონკრეტულად ძალიან მნიშვნელოვანია ამ საკითხებზე საუბრისას, ერთ კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან. შარშან ფონდმა „ინკლუზივმა“, 17 მაისამდე, ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღემდე, ერთი თვით ადრე, საზოგადოებრივ მაუწყებელს ამ თემაზე „არტეს“ და „ცე-დე-ეფის“ (ZDF) დაკვეთით გერმანული კომპანიის, „გალერეა ალიასკა-პროდაქშენის“ მიერ მომზადებული ფილმის, „ცისარტყელის დასასრული“, გაშვების თხოვნით მიმართა. ჩვენ შევიძინეთ ეს ფილმი, ვთარგმნეთ და ტელევიზიაში დისკით მივიტანეთ კიდევ, რათა წინასწარ გაცნობის საშუალება ჰქონოდათ. ძალიან გამიჭირდა პასუხის მიღება, რატომ არ გაუშვებს იგი. შემდეგ გვითხრეს, რომ საათნახევრიანი დოკუმენტური ფილმის გაშვების საშუალებას საზოგადოებრივი მაუწყებლის ბაღე არ იძლეოდა. ბოლოს იძულებული გაგხდი მესარგებლა გენდერული კომისიის წევრობით და უშუალოდ საბჭოს თავმჯდომარისთვის მეკითხა ფილმის საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გაუშვებლობის მიზეზი, თუმცა ვერც მისგან მივიღე პასუხი.

**თამარ კინწურაშვილი** – ზეპირი პასუხი თქვენ ამ შეხვედრაზე მიიღეთ. ჩვენი ბადის თანახმად, საინფორმაციო გამოშვებები ყოველ საათში ერთხელ გადის ეთერში და ამის გამო საათნახევრიანი ფილმის გაშვება არ მოხერხდებოდა. რომ შეგვემოკლებინა ფილმი, მაშინ შესაძლოა, გეთქვას, რომ ცენზურას ჰქონდა ადგილი. ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩვენ სიუჟეტი მოვამზადეთ და საინფორმაციო გადაცემით. ეს ჩვენი სარედაქციო გადაწყვეტილება იყო, რომელიც, შესაძლოა, საქართველოს ყველა მოქალაქისთვის არ იყოს მისაღები.

**ნინო დანძავა, საქართველოს კინემატოგრაფის ეროვნული ცენტრის კინომემკვიდრების განყოფილების სპეციალისტი** – ამ თემაზე ბევრი სხვა ფილმი არსებობს, თუ ბადის პრობლემა იყო, მაყურებლისთვის შეგეთავაზებინათ 40 ან 50-წუთიანი ფილმი.

**თამარ კინწურაშვილი** – საზოგადოების უმრავლესობას ამ ტიპის ფილმებზე არა აქვს მოთხოვნილება. ჩვენ ფილმებს ერთ დიდ პაკეტად ვყიდულობთ, მასში ასეთი ფილმი არ ყოფილა შესული. შესყიდვის პროცედურა რომ დაგვეწყოს, ჰომოფობიასთან ბრძოლის მომდევნო დღისთვის, ალბათ შევიძენდით, კანონმდებლობიდან გამომდინარე, საკმაოდ ხანგრძლივია ეს პროცედურა.

**გოგი გვახარია** – ძალიან სერიოზული პრობლემა დაისვა. ქ-ნმა თამარმა თქვა, რომ საზოგადოების უმრავლესობას ასეთ ფილმებზე მოთხოვნილება არ ჰქონია, იმედია, ეს არ ყოფილა წამოცდენა. ჩვენ დღეს სწორედ ამაზე უნდა ვისაუბროთ. ჩვენს დისკუსიასაც სწორედ ამიტომ შეევურჩიეთ სახელად „რას ელის საზოგადოება საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლისგან“. როგორი უნდა იყოს მომავალში საზოგადოებრივი მაუწყებელი. იმის მიხედვით უნდა აიგოს, რას ისურვებს საზოგადოების უმრავლესობა, თუ უმცირესობის ინტერესებიც გაითვალისწინოს?

**თამარ კინწურაშვილი** – ვისურვებდი, საზოგადოებრივი მაუწყებელი იმდენად ძლიერი იყოს, რომ არ აკეთებდეს მხოლოდ იმას, რაც უმრავლესობას სურს. დღეს საზოგადოებრივი მაუწყებელი სუსტია, ამიტომ საზოგადოებას ასეთი თემები შეუძლია სასპეკულაციოდ გამოიყენოს. ჩემი აზრით, უფრო მნიშვნელოვანია, ამ ინსტიტუტმა მოიპოვოს დამოუკიდებლობა, გაძლიერდეს და კონკურენტუნარიანი გახდეს, რათა შემდგომ თავად მოახდინოს გავლენა პროცესებზე. ერთსაც დავამატებ, როდესაც სახელმწიფო ტელევიზიის ყოფილი თანამშრომლები სამსახურიდან დავითხოვე, ტელეკომპანია „იმედზე“ - რომელიც რეიტინგულ ტელეარხად ითვლებოდა საზოგადოების უმრავლესობაში - გასული სიუჟეტის მიხედვით, ეს ადამიანები სამსახურიდან რელიგიური ნიშნით გავათავისუფლე.

**ლამა ბაქრაძე, ისტორიკოსი** – არ შემიძლია ძვიად ქორიძეს არ დავეთანხმო იმაში, რომ საზოგადოებასთან კომუნიკაცია არ ყოფილა. მედიის, განსაკუთრებით კი, საზოგადოებრივი არხის მთავარი მიზანი უნდა იყოს დისკუსიების გამართვა. ჩვენ ვთქვით, როგორ უღიმღამოდ ჩაიარა სამეთვალყურეო საბჭოს ჩამოყალიბებამ. ამაში მედია და პირველ რიგში, საზოგადოებრივი მაუწყებელია დამნაშავე. დიდი მადლობა ჰაინრიხ ბიოლის ფონდს, რომ იგი დღეს ამ თემაზე საუბრის საშუალებას იძლევა, რომ თუნდაც ამ დარბაზში შეკრებილი საზოგადოების წინაშე გვაქვს აზრის გამოთქმის საშუალება. ქ-ნი თამარი ჯერ კიდევ გენერალური დირექტორია, ამიტომ ვთხოვ, იმისთვის, რათა გამჭვირვალე იყოს დირექტორის არჩევნები, იქნებ, ჩატარდეს დისკუსია თემაზე, ვინ შეიძლება გახდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი. იმის შესახებ, რას აპირებენ, იქნებ, წინასწარ მიგველო პასუხი. საზოგადოებაში ძალიან დიდია ინტერესი, მაგრამ ვერ გამოინახა ინსტრუმენტი, როგორ შეიძლება გამოითქვას აზრი; იმიტომ, რომ არ არსებობს ის სივრცე, სადაც საზოგადოებას აზრის გამოთქმის საშუალება მიეცემა. საზოგადოებამ დღემდე ვერ გაიგო, რა პრინციპით ირჩევენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, ამ თემაზე კონკრეტულად არსად უსაუბრიათ.

**გოგი გვახარია** – კარგი იქნებოდა, ბევრს ენახა პარლამენტის სხდომის ის მომენტი, როდესაც კენჭს უყრიდნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს. საზოგადოებამ უნდა ნახოს, როგორ შედგა ეს ცირკი.

**თამარ კინწურაშვილი** – გეთანხმებით, კომუნიკაციის დეფიციტი მართლაც იყო. კარგი იქნება, თუ ჩავხედავთ კანონს მაუწყებლობის შესახებ. სამეთვალყურეო საბჭოს ბევრ წევრს თავისი ფუნქცია ცალკეული მიმართულებისა და გადაცემის შემოქმედად წარმოუდგენია, რაც არასწორია, იმიტომ რომ ეს შიდა მენეჯმენტის საკითხია. სამეურვეო საბჭომ საზოგადოებრივ მაუწყებლამდე უნდა მიიტანოს საზოგადოების ინტერესები და მოლოდინი. სამეურვეო საბჭო პროგრამულ პრიორიტეტებს კვლევისა და საზოგადოებასთან შეხვედრის საფუძველზე განსაზღვრავს.

**სალომე ჯაში, ჟურნალისტი/ საპროდუქციო კომპანია “საქლოკ ფილმი”** – ვიცი, რომ ბ-ნი ზვიადი გენერალური დირექტორობის ერთ-ერთი კანდიდატია. რა კონკრეტული გეგმები



გაქვთ, რას შეცვლიდით, ან გავლენისგან როგორ აპირებთ თავის დაცვას. ქ-ნმა თამარმა თქვა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი სუსტია. რაში გამოიხატება სისუსტე და რა უნდა გამოსწორდეს ამისთვის.

**ზვიად ქორიძე** – ამაზე ჩემს გამოსვლაში ვისაუბრე. ის უმთავრესი პრობლემა, რომელიც საკუთარ გამოსვლაში გამოვყავი, არის გამოსასწორებელი, მეტი არაფერი.

**თამარ კინწურაშვილი** – საზოგადოებრივ მაუწყებელს სასტარტო პირობები მის კონკურენტებთან შედარებით, თუნდაც ტექნიკური რესურსების თვალსაზრისით, თანაბარი არ ჰქონია. მთავარია სარედაქციო დამოუკიდებლობა და ტექნიკური გამართვა. ხარისხიანი პროდუქციის წარმოება დამოკიდებულია ფინანსურ რესურსზე. მას შემდეგ, რაც ტექნიკური პრობლემები მოგვარდება, უფრო მეტი თანხა გამოიყოფა პროგრამების გასაუმჯობესებლად. სარედაქციო დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი გარანტიები შეიქმნა კონტრაქტების სახით. დასავლეთში ჟურნალისტის დაცვის ერთ-ერთი მთავარი გარანტია არის კონტრაქტი, რომელშიც გარანტირებულია მისი როგორც სარედაქციო დამოუკიდებლობა, ისე ვალდებულება, დაიცვას პროფესიული სტანდარტი. ეს არის ორმხრივი ურთიერთვალდებულებები და თუ ჟურნალისტის სარედაქციო დამოუკიდებლობაში ვინმე ერევა, ეს კონტრაქტი, ისევე როგორც კანონი, მას აძლევს საშუალებას, სასამართლოს მიმართოს და იგი თავისი ჟურნალისტური უფლების დასაცავად, როგორც იარაღი და ბერკეტი, გამოიყენოს.

ამ კუთხით ჩვენთან მოქმედებს მონიტორინგის სამსახური. სარედაქციო საკითხებში არავინ ერეოდა, ჟურნალისტები დამოუკიდებლად გეგმავდნენ თემატიკას. თუ რაიმე პრეტენზია გამოითქმება, ყოველთვის მიემართავ მონიტორინგის სამსახურს ან თავად ვნახულობ სიუჟეტს. შემდეგ მონიტორინგის სამსახური მასზე კომენტარს აკეთებს. ნებისმიერი ადამიანი, არა აქვს მნიშვნელობა, ის პოლიტიკოსია თუ არა, იმ შემთხვევაში თუ, როგორც მომხმარებელს, აქვს პრეტენზია ხარისხის მიმართ, გიკავშირდება და გეუბნება, რომ გასული ინფორმაცია არ იყო დაბალანსებული ან ალტერნატიული წყარო არ ყოფილა მითითებული. იმისთვის, რომ ეს საკითხი პროფესიულ ჭრილში გაიჩინოს, არსებობს ეს ინსტიტუცია. მოსარჩელეს შემდეგ განვუმარტავთ, ჟურნალისტმა მართლაც დაარღვია მისი, როგორც მომხმარებლის უფლება, თუ მართალი იყო. მონიტორინგის სამსახური ძალიან კარგად მუშაობს, ის კვირაში ორჯერ იკრიბება, გამოთქვამს თავსი შენიშვნებს და მათ ჟურნალისტები ითვალისწინებენ.

**დავით დარჩიაშვილი, ფონდის “ღია საზოგადოება - საქართველო” აღმასრულებელი დირექტორი** – საქართველოში კარგად არაფერი მუშაობს და საზოგადოებრივი მაუწყებელი როგორ იქნება გამონაკლისი, არ ვიცი. მე ძალიან მიჭირს საუბარი, იმიტომ რომ „მიგნიდან“ მომიწევს ლაპარაკი. ზვიადის შენიშვნა იმის შესახებ, რომ ერთი-ორჯერ მართლაც მომიწია აფრასიძის გადაცემაში მონაწილეობა, მართალია. ეს არის მენეჯმენტის ხარვეზი. კლუბურობის განცდა, თუნდაც ერთ მაყურებელს მაინც, არ უნდა დაუტოვო. საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც სულ ორნახევარი წლისაა, სარკეა იმისა, რაც ხდება არა მარტო პოლიტიკურ სპექტრში, არამედ მთლიანად საზოგადოებაში. ლაშას რომ ვუსმენ, წელანაც ვუთხარი, მგონია, ლუდოვიკო მე-14 ლაპარაკობს, „საზოგადოება მე ვარ“. სახლში თუ არ მიუტანე ტელევიზია, ვეჭვობ, რომ კონკრეტულ კომისიაში საქმე გააკეთოს. მეც, ალბათ, არანაკლები ამბიციები მაქვს. ამბიციები აქვთ გადაცემაში მოწვეულ სტუმრებს, ორმა კაცმა წელან დატოვა ეს დარბაზი, რადგან სხვა რამის მოსმენა სურდათ. ასეთია ეს საზოგადოება, ამიტომ არც ველოდი, რომ რაღაც უცებ გამოსწორდებოდა.

ერთიც მინდა ვთქვა, ქ-ნ ეკას თამარმა უპასუხა, მაგრამ მე ეჭვი მიჩნდება, რომ ეს ფილმი ისეთ თემას ეხებოდა, მას ეკლესია დაბლოკავდა. რა ზეწოლა იყო ეკლესიიდან,

პარლამენტიდან, იქნებ, ამაზეც ვილაპარაკოთ. ამას ემატება არაპროფესიონალიზმის პრობლემაც.

**გოგი გვახარია** – კარგი იქნებოდა, მედია უფრო რომ აქტიურობდეს, კრიტიკა რომ აქტიურობდეს და საზოგადოებრივი მაუწყებლის უკვე, შეიძლება ითქვას, გადამდგარ ღირეპტორს არ უწევდეს კრიტიკისა და შენიშვნების მოსმენა. აქამდე ამის შესახებ პრესაში მხოლოდ ორი ადამიანი წერდა. კრიტიკა რომ მეტი ყოფილიყო, შესაძლოა, კრიზისული სიტუაცია აღარ შექმნილიყო.

**თამარ კინწურაშვილი** – პრესას რეგულარულად ვეცნობით, ჩვენი საკუთარი ეთერიდანაც გვესმის კრიტიკა. არ მინდა ვინმეს საყვედური გამოვიღო, მაგრამ წინა კრიზისის დროს, როდესაც თანამშრომლები დავითხოვეთ და ეს თემა პარლამენტში დისკუსიის საგანი გახდა, ლამაზ დაკურეკე, მისთვის საავტორო გადაცემის შეთავაზებას ვაპირებდი, შევთანხმდით კიდევ შეხვედრაზე, მაგრამ ის არ მოსულა და შემდეგ „რუსთავი2-ის“ ეთერით მიპასუხა, თუ როგორი ცუდია საზოგადოებრივი მაუწყებელი. ცუდი რომ იყო, ეს მეც მესმოდა, მაგრამ პასუხისმგებლობა ყველამ უნდა ვიტვირთოთ.

**ლამა ბაქრაძე** – ჩემი აზრით, როდესაც რაღაცას აკრიტიკებ, მერე იქ მისვლა მთლად სწორი არ უნდა იყოს. ადამიანი რომ პრინციპულობას იჩენს, ეს ცუდი არ არის. მე თავის დროზე გავაკრიტიკე ის მეთოდი, თუ როგორ აირჩა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი და დღესაც ასე ვფიქრობ. მიმაჩნია, რომ არჩეულ იქნა ის ადამიანი, რომელიც თავად იყო ერთ-ერთი ამომრჩეველი. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ამ კრიტიკის შემდეგ ჩემი თქვენთან სამუშაოდ მოსვლა უპრინციპო საქციელი იქნებოდა, თუმცა კი, ძალიან მინდა ტელევიზიაში მუშაობა.

**ნინია კაკაბაძე, კინომცოდნე/ ჟურნალისტი** – კრიტიკა, პირველ რიგში, იმისთვის არის საჭირო, რომ იგივე შეცდომები არ განმეორდეს. მაგალითად, როდესაც ეკამ თავსი მოხსენებაში თქვა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი მოდის კანონმდებელი უნდა ყოფილიყო, ამაში ვეთანხმები და სწორედ ეს მინდა ამ არხის ყველაზე დიდ ხარვეზად მივიჩნიო. მინდა იმედი დავიტოვო, რომ მომავალში უფრო აქტიურები ვიქნებით და უფრო მეტად ჩავერთვებით იმ პროცესში, რომელსაც ჰქვია იმ თემებზე საუბარი, იმ თემების პოპულარიზება, რომელიც სხვა მედიაში საერთოდ არ ისმის. დარწმუნებული ვარ, სხვა არხებზე სიტყვა „ჰომოფობიის“ მნიშვნელობა საერთოდ არ იციან, არათუ გადაცემებს უძღვნიდნენ მას. ამიტომ, საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარი დანიშნულება ის იყო, რომ სწორედ ასეთ არაპოპულარულ თემებზე, ისეთ თემებზე, რომლებსაც შესაძლოა, სკანდალიც კი გამოეწვია, ემუშავა. ის ყველაზე გაბედული უნდა ყოფილიყო, რადგან მას კანონი იცავდა, მას ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ ეს გაეკეთებინა და ეს ისე უნდა გაეკეთებინა, ისე უნდა შეეფუთა, რომ მაყურებელს მიეღო და ყურების სურვილი ჰქონოდა. მინდა სამართლიანი ვიყო, ეს ტენდენცია დაიწყო ფილმი<sup>4</sup>, რომელიც 1937 წელს ეხება, ასეთივეა გოგი გვახარიას გადაცემა<sup>5</sup>. საზოგადოებრივი მაუწყებლისგან, როგორც მოქალაქე და მისი მაყურებელი, ყველაზე მეტად ველი, რომ მან დაიწყოს ლაპარაკი ისეთ საკითხებზე, რომლებზეც არსად საუბრობენ.

**ეკა კვესიტაძე** – მინდა ნინია კაკაბაძის მოსაზრება გავაგრძელო. ჰომოფობიასთან ბრძოლა არის ის თემა, რომელიც უნდა აითვისოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, რადგან ამ საზოგადოებაში ყველაზე მეტად არის ჰომოფობია გავრცელებული. მაგრამ ამასთან ერთად,

<sup>4</sup> „1937“.

<sup>5</sup> „წითელი ზონა“

ძალიან კარგად მესმის ის ობიექტური სიძნელებები და შიში, რომელიც არის საზოგადოებასა და თითოეულ ჩვენგანში. ჩვენი ძალა იმაში გამოიხატება, გადავლახოთ ეს შიში და ვისაუბროთ ისეთ თემებზე, რომელიც არ მოსწონს საზოგადოების უმრავლესობას და კონიუნქტურაში არ ჯდება. ასეთ შემთხვევაში მე უფრო მეტ პასუხისმგებლობას დავაკისრებდი საზოგადოებას. მაშინ, როდესაც რელიგიურ თემაზე ინსინუაციები აუგორეს საზოგადოებრივ მაუწყებელს, არავინ მინახავს, ვინც ამას გააპროტესტებდა. ცენზურა, რომელიც ეკლესიიდან მოდის, და მოდის, რა თქმა უნდა, საზოგადოებრივ არხზეც, ყოვლად დაუშვებელია. საზოგადოებრივ არხს ამ შემთხვევაშიც სჭირდება საზოგადოების მხარდაჭერა. უამისოდ ძალიან ძნელი იქნება ამ დილემის გადალახვა. მე ჩვენს პასუხისმგებლობასაც ვგრძნობ. იქნებ, უფრო კონსოლიდირებული ვიყოთ ასეთ საკითხთან მიმართებაში.

**ქეთი მეფარიძე, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი** – თქვენ ახსენეთ, რომ აქციების პირდაპირ ეთერში გაშვება პრობლემა იყო. რატომ იყო ეს მიუღებელი?

**ეკა კვესიტაძე** – არც ერთი ტელევიზიის ფუნქცია არ არის მთელი დღის განმავლობაში გადასცემდეს პირდაპირ ეთერში მიტინგის მიმდინარეობას ისე, როგორც აკეთებდა ამას „მაესტრო“. ეს არ არის საზოგადოებრივი მაუწყებლის ფუნქცია. ამას აკეთებდა „იმედი“, რადგან პოლიტიკური ინტერესი ჰქონდა, ამასვე აკეთებდა ადრე „რუსთავი 2“, რომელსაც ასევე პოლიტიკური ინტერესი ჰქონდა. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა არ უნდა აჩვენოს მიტინგები თავიდან ბოლომდე, მან არ უნდა დაუთმოს ბადე მიტინგებს. საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია, გაიგოს ობიექტური ინფორმაცია ამ მიტინგზე.

**ირაკლი ხორბალაძე, რესპუბლიკური პარტიის იურისტი** – საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის, ჩემი აზრით, უმთავრესი - საინფორმაციო გადაცემები და ღია დისკუსიებია იმ თემებზე, რომლებზეც მხოლოდ შინაურულ წრეებში საუბრობენ და რომლებზეც ჰქონდა მიმართული „იმედს“ თავისი საინფორმაციო პოლიტიკა. მაგრამ „იმედი“ სუბიექტური იყო, ასეთივე იყო „რუსთავი 2“. საზოგადოებრივი მაუწყებელი სადღაც შუალედში უნდა ყოფილიყო და ობიექტური რეალობა ეჩვენებინა. ნდობის ფაქტორი მხოლოდ ამ შემთხვევაში მოიმატებს ამ ტელევიზიის მიმართ. რაც შეეხება დისკუსიებს, ბოლო ხანებში უფრო შეიმჩნევა ასეთი ტენდენცია ამ არხზე, ადრინდელთან შედარებით.

**დავით არაბიძე, მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირის თავმჯდომარე** – იმისათვის, რომ ვისაუბროთ იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, უნდა ვთქვათ, როგორი იყო ის აქამდე. ეს იყო იდეოლოგიური დაწესებულება, რომლის მთავარ ამოცანას მოსახლეობის თავში ტოტალიტარიზმის დოგმების ჩადება წარმოადგენდა. პირველ რიგში, ვისურვებდით არ დაბლოკილიყოს ინფორმაცია. ახლახანს ჩვენი ორგანიზაცია კოსოვოდან ქართული კონტიგენტის გამოყვანის მოთხოვნით გამოვიდა. მოვიდნენ საზოგადოებრივი მაუწყებლიდან, ჩაიწერეს, მაგრამ ეთერში სიუჟეტი არ გაუშვიათ. საზოგადოებრივ მაუწყებელში, რა თქმა უნდა, იყო ცენზურა. არსებობდა შავი სიაც. თუ ორგანიზაცია ეროვნულ-პატრიოტული ან სოციალური დემოკრატიის იდეების მატარებელი იყო და შრომის უფლებებზე ამახვილებდა ყურადღებას, იმისთვის იქ კარი დაკეტილი იყო. ჩვენ ქ-ნ თამარსაც მივმართეთ წერილობით, მაგრამ ამ დაწესებულებიდან პასუხი არ მიგვიღია.

**ია ბახტაძე, თარჯიმანი** – ყველა ქართული არხი პოლიტიზებულია. სასურველი იქნებოდა, პირიქით ყოფილიყო. რომელ არხზეც არ უნდა გადართო, რომელიმე პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი დაგხვდება. ნაკლები ყურადღება ეთმობა საგანმანათლებლო და საბავშვო გადაცემებს. არ შემიძლია არ ვთქვა თარჯიმანის დაბალ ხარისხზე. კარგი იქნება, თუ

საზოგადოებრივი მაუწყებელი, თუნდაც წელიწადში ერთხელ ქუჩაში ჩაატარებს გამოკითხვას და მოსახლეობისგან მოისმენს, რას ელიან საზოგადოებრივი მაუწყებლისგან, როგორი გადაცემების ხილვა სურთ და ამის მიხედვით შეადგინოს გადაცემების ნუსხა.

**თეო ხატიაშვილი, კინომცოდნე/ ჟურნალისტი** – კომენტარს გავაკეთებ ბოლო ფრაზაზე. წელან ძვიად ქორიძე საუბრობდა მაყურებელთან კომუნიკაციის არარსებობაზე. ახლა ქალბატონმაც ბრძანა, რომ საზოგადოების მოლოდინის გასაგებად კარგი იქნებოდა, გამოკითხვა ქუჩაში ჩატარებულიყო, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს შედეგს ვერ მოიტანს. აქ იმაზეც საუბრობდნენ, თუ რას ნიშნავს საზოგადოება, ან რა ფასეულობების მატარებელია იგი; ეს გაურკვეველია. შესაბამისად, საზოგადოებაში არსებული მოლოდინიც უამრავნაირია. მე მგონი, ახალმა სამეურვეო საბჭომაც და გენერალუმა დირექტორმაც უნდა გაითვალისწინონ, რა იგულისხმება საზოგადოებრივი მაუწყებლის ფუნქციაში. მთავარია ლიბერალური ღირებულებების დანერგვა, რაც ძალიან არაპოპულარულია ჩვენს საზოგადოებაში. ვიყოთ გულწრფელები, ჰომოფობიასთან ბრძოლაზე გადაღებული ფილმის გაუშვებლობის მიზეზი საზოგადოების წინაშე არსებულ შიშს უკავშირდება. ხალხისგან ამ ფილმის ხილვის შემდეგ უკმაყოფილება წამოვიდოდა, მაგრამ ამას უნდა შეეგუოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, თუ უნდა, რომ ამართლებდეს თავის სახელს.

**გოგი გვახარია** – სამეურვეო საბჭო უნდა იყოს ისეთი, რომ შეეძლოს ასეთ შემთხვევებში მაუწყებლის დაცვა.

**თამარ კინწურაშვილი** – პრობლემა ისიც არის, რა არის იმ ადამიანების მოტივაცია, ვინც მიდის საბჭოში. ისინი არ არიან სამოქალაქო აქტივისტები. ისინი იქ იმიტომ კი არ მიდიან, რომ საკუთარი სამოქალაქო პოზიცია გამოხატონ და დაიცვან ტელევიზია, როდესაც თუნდაც, ეკლესიის მხრიდან არის უკმაყოფილება. არავის ამოუღია ხმა გაა ნოდის გარდა, როდესაც იყო მსგავსი შემთხვევა.

**დავით პაიჭაძე, ჟურნალისტი** – ჩვენ მოვისმინეთ აქამდე არსებული საზოგადოებრივი მაუწყებლის კრიტიკა, მაგრამ არა მგონია, ეს კრიტიკა მყარ კრიტერიუმებს ეფუძნებოდეს. ჩვენ ჩვენი შთაბეჭდილებებიდან გამომდინარე ვსაუბრობთ, ჩვენი დაუფორმულირებული წარმოდგენებიდან, თუ როგორი უნდა იყოს ეს ტელევიზია. შევთანხმდეთ იმაზე, რომ ჩამოყალიბებული წარმოდგენა იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, მაშინ, როდესაც ის იქმნებოდა, არ არსებობდა. იყო რაღაც პრინციპები, რომლებსაც აფუძნებდნენ და ნელ-ნელა აშენებდნენ ასეთ მაუწყებლობას.

თქვენი ყურადღება მინდა მივაპყრო იმ საფრთხეს, რომელიც შეიძლება ემუქრებოდეს საზოგადოებრივ მაუწყებელს და გკითხვთ, ვინ დაიცავს მას? ამ კითხვის შინაარსი დღევანდელ დისკუსიაზე არაერთხელ გახშირდა. გოგიმ თქვა, რომ ეს სამეურვეო საბჭომ უნდა გააკეთოს, თამარმა თქვა, რომ სამეურვეო საბჭოს, შესაძლოა, სულ სხვა ამოცანები ჰქონდეს, მაგალითად, ახლობელთა დასაქმება. თამარს უფრო დაეჯერება, იმიტომ რომ ის უყურებდა წინა საბჭოს წევრების საქციელს.

**გოგი გვახარია** – არავის გასჩენია შეკითხვა გუშინდელ სხდომასთან დაკავშირებით, რომელზეც დაამტკიცეს სამეურვეო საბჭოს წევრები. არავის უკითხავს, ვინ იყვნენ ეს ადამიანები, რას აპირებდნენ, რა იდეების მატარებლები იყვნენ. მე მგონი, ეს ძალიან სახიფათოა, იმიტომ რომ ერთი წლის შემდეგ, შესაძლოა, გაცილებით მწვავე კრიტიკა მოვისმინოთ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ. აქამდე თუ არ მუშაობდა, ხვალ შეიძლება პირიქით, ძალიან გააქტიურდეს სამეურვეო საბჭო. საზოგადოებამ პასუხი პარლამენტს უნდა



მოსთხოვოს, რომელმაც საბჭოს წევრები 5 წუთში აირჩია. მე მინდოდა დღეს ამაზე უფრო დიდხანს გვესაუბრა.

**ეკა აღდგომელაშვილი** – საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ-გვერდზე ძალიან კარგად არის ჩამოწერილი ამ ტელევიზიის ამოცანებიც და სამეურვეო საბჭოს ფუნქციებიც. ჩემთვის მთავარია, მათ თავიანთი ფუნქცია შეასრულონ, მათ ვინაობას ჩემთვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს. ისევე, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა ასრულებდეს იმ ფუნქციას, რომელიც უწერია. მე ვერ დავიცავ ტელევიზიას, რომელიც თავად არ აღიარებს იმას, რომ მასზე ზეწოლა ხორციელდება, გინდა, ხელისუფლების და, გინდაც, ეკლესიის მხრიდან. ვიღაცამ უნდა ისაუბროს ამაზე.

**დავით პაიჭაძე** – მე მგონი, ეკლესიის ზეწოლას აღიარება არც სჭირდებოდა, ძალიან ნათლად დავინახეთ, როგორ დაიბარეს გენერალური დირექტორი და საინფორმაციო-პოლიტიკური პროგრამების დირექტორი საპატრიარქოში.

**ნინო ლეჟავა, ჰაინრიხ ბიოლის ფონდის პროგრამების კოორდინატორი** – შესაძლებელია, ერთი შეხედვით გულუბრყვილო კითხვას ვსვამ: რა მოხდებოდა, ეს ადამიანები რომ არ წასულიყვნენ საპატრიარქოში? ან წასულიყვნენ იქ, მოესმინათ აზრი, მაგრამ სხვა გადაწყვეტილება მიეღოთ?

**დავით პაიჭაძე** – ამაზე ლაპარაკი ძალიან ძნელია. ჯობს, მომავალზე ვისაუბროთ, როგორი შეიძლება იყოს იგი. სამეურვეო საბჭო დღეს მთლიანად პოლიტიკური შეთანხმების შედეგია. ჩვენ ვნახეთ, როგორ აირჩიეს მისი წევრები. ყველა პრეტენზია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისკენ მიდის.

**ლაშა ბაქრაძე** – რა ტელევიზია გვინდა, როგორ წარმოგვიდგენია, ამაზე დისკუსიები უნდა იმართებოდეს, რომ ჩვენ, საზოგადოებას მეტი ინფორმაცია გვქონდეს. მე ვგულისხმობ ინფორმაციას იმის შესახებ, ვინ არიან სამეურვეო საბჭოს წევრები და რა პრინციპით იყვნენ ისინი შერჩეულები.

**დავით პაიჭაძე** – საქმე ეხება ტელევიზიის დაცულობას. მისი მექანიზმები თუ ხერხები ჩვენთვის უცნობია. მე მგონი, არც არავინ მოიკლავს თავს, თუ დაინახავს, რომ ინერციით გაგრძელდება პოლიტიკური ზეწოლა ამ ტელევიზიაზე. მით უმეტეს, ახლა ყველანაირი პირობაა საამისოდ. გენერალური დირექტორიც თუ პოლიტიკური შეთანხმების შედეგად შეირჩა, პოლიტიკური კონიუნქტურით იქნება ნაკარნახევი არა მარტო პროგრამული, არამედ საკადრო პოლიტიკაც. მაღალი ალბათობით შეგვიძლია ამის ვარაუდი. რაც შეეხება გენერალურ დირექტორს, მე წინააღმდეგი ვარ მაქსიმალისტური მოთხოვნების, რომ ერთ პიროვნებაში იყოს შენივთებული ბრწყინვალე მენეჯერი, ლიბერალურ ღირებულებათა აღმსარებელი და ვიზუალურად მოაზროვნე ტიპი, რომელსაც რადიოც ესმის. ასეთი საკითხები შეიძლება დაიყოს და ისინი მენეჯმენტის შემადგენელი ნაწილი იყოს. თამარმა, როგორც ხელმძღვანელმა, ძალიან ბევრი რამ იცის, მაგრამ რაც უფრო მეტი იცის, მით უფრო მეტად არ ან ვერ იტყვის. ვფიქრობ, რომ მას ბევრი მწარე გაკვეთილიც აქვს ათვისებული. ის ძალიან მძიმე პოზიციიდან მიდის.

**ნინო ლეჟავა** – როგორც ამ შეხვედრების ორგანიზატორი, ძირითადად ვცდილობ ხოლმე ნაკლებად გამოვხატო საკუთარი აზრი, მაგრამ დღეს, ჩემთვის პატივსაცემი რამდენიმე ადამიანის მოსმენის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ “დიმიტრი გელოვანის ძიების” გზა საპატრიარქოსკენ მიდის. შეიძლება უხეში მეტაფორა გამომდის, მაგრამ ქ-ნმა

თამარმაც, დავით დარჩიაშვილმაც, რომელიც არის პოლიტოლოგი, საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაცემის წამყვანი და „ღია საზოგადოება – საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი, დავით პაიჭაძემაც, რომელიც ასევე გახლავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების ხელმძღვანელი, ახსენეს ზეწოლა საპატრიარქოს მხრიდან. ვფიქრობ, რომ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს უკანასკნელი წლების განმავლობაში თვალს ვადევნებ და ზოგჯერ ეს ზეწოლაც დამინახავს, მაგრამ აქამდე არ მიფიქრია, რომ შეიძლება საშინელება მოხდეს, თუ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში რამე ისეთი გავა, რასაც საპატრიარქოს ადმინისტრაციის თანამშრომლები არ მოიწონებენ.

ახლა შეგვიძლია ანონსიც გავაკეთოთ. 19 მარტს გვაქვს დაგეგმილი სწორედ დისკუსია სეკულარულ სახელმწიფოსა და რელიგიურ ნაციონალიზმზე და მადლობელი ვიქნებოდით, თუ მობრძანდებოდით და საკუთარ აზრს გამოთქვამდით.

ქ-ნო თამარ, თუ არ ითქვა, რომ ეს ზეწოლა არსებობდა, თუ თავად თქვენ არ მოახდენთ პრობლემის იდენტიფიცირებას, ისე საზოგადოება გვერდში ვერ დაგიდგებათ.

**თამარ კინწურაშვილი** – იმისათვის, რომ გადარჩე, კონიუნქტურას უნდა გაუსწორო თვალი. არის რაღაც უფრო ღირებული, რომლის დათმობაც არ ღირს. ეს არის დამოუკიდებლობა. მე მკაფიოდ ვთქვი, რომ არ ვაპირებ მუშაობას პოლიტიკური შეთანხმების შედეგად შერჩეულ სამეურვეო საბჭოსთან ერთად. ჩვენ არ უნდა დავთმოთ მთავარი და არ გადავაცოლოთ პატარა, მაგრამ ვილაციისთვის მნიშვნელოვან ღებულებებს უფრო მნიშვნელოვანი ღირებულებები. პრიორიტეტებს რედაქცია ადგენს. ზარებიც იყო, ზეწოლაც და დაკვეთაც, მაგრამ ბევრი რამ იმაზეა დამოკიდებული, შენ თვითონ რას აკეთებ. თუ ემორჩილები ზარებს, შემსრულებელი ხარ, მაგრამ მე არ ვთვლი საჭიროდ, რომ ეთერში ვილაპარაკო. დაკვეთილი სიუჟეტები ჩვენს არხზეც გადიოდა, მაგრამ სხვა არხებზე გასულ ასეთ სიუჟეტებს მათ ვერც შევადარებთ. შენი დამოუკიდებლობა თავად უნდა დაიცვა. დამოუკიდებლობა კი იმაში გამოიხატება, არ დაემორჩილო ასეთ ზარებსა და დაკვეთებს და არა იმაში, გამოხვიდე და ასეთ ზარებზე ილაპარაკო.

**გოგი გვაზარია** – დიდი მადლობა. დისკუსია დასრულებულია.